

ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

გამოცდის ფორმატი

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში - ებრაული ენა - B2 დონე. გამოცდა შეფასდება 100 ბალიანი სისტემით. ბილეთი შედგება 4 საკითხისგან, ორი თეორიული და ორი პრაქტიკული საკითხი. თითოეული საკითხის პასუხი შეფასდება მაქსიმუმ 25 ქულით.

საგამოცდო საკითხები

თეორიული ნაწილი

ებრაული ენა

1. ებრაული ენის განვითარების ეტაპები: ძველი ებრაული (ბიბლიის ებრაული), საშუალო ებრაული (მიშნის ებრაული) და ახალი ებრაული.
2. ებრაული ენის სტრუქტურა.
3. ებრაული დამწერლობა, კვადრატული ანბანი, კურსივი, “რაში”.
4. კითხვის ნიშნები; ხმოვნის ნიშნები, ტიბერიული ვოკალური ნიშნები, მახვილის ნიშნები.

ფონეტიკა-ფონოლოგია

1. ებრაული კონსონანტიზმი. თანხმოვანთა კლასიფიკაცია არტიკულაციის მიხედვით.ემფატიკური თანხმოვნები, გუტურალი თანხმოვნები, სუსტი თანხმოვნები. განსხვავება თანხმოვანთა ძველსა და თანამედროვე წარმოთქმას შორის.
2. ვოკალიზმი. გრძელი ხმოვნები, მოკლე ხმოვნები, ულტრამოკლე ხმოვნები, დიფთონგები. მარცვალი, მახვილი და პაუზა.
3. ფონეტიკური მოვლენები. თანხმოვანთა ასიმილაცია და დისიმილაცია, ხმოვანთა ასიმილაცია და დისიმილაცია, თანხმოვანთა გემინაცია, მეტათეზისი, ბგერათდაკარგვის შემთხვევები.

მორფოლოგია

I სახელი

1. სახელის ძირითადი ტიპები. სახელის ძირი და ფუძე. სახელის წარმოება პრეფიქსაციით, აფიქსაციით, სახელის კნინობითი ფორმები.
2. არტიკლი.
3. ნაცვალსახელი: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი, მიმართებითი. ნაცვალსახელური სუფიქსები.
4. სახელის კატეგორიები. რიცხვი, სტატუსი, ბრუნება.
5. სახელის ფლექსია. სახელი ნაცვალსახელური სუფიქსებით. ვოკალური ცვლილებანი სახელებში. სეგოლატები. თავისებური სახელები.

6. ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელის ხარისხი.
7. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი, წილადები. რიცხვის გამოხატვა ასონიშნებით. ებრაული წელიწადი. სამოქალაქო წელიწადი. საათი.

II ზმნა.

1. ზმნების კლასიფიკაცია. ზმნის კატეგორიები: პირი, სქესი, რიცხვი, დრო-კილოები, გვარი.
2. ზმნის თემები.
3. ზმნის ფლექსია. ალ – ძირითადი თემა. პერფექტივი, იმპერფექტივი, იმპერატივი, კოჰორტატივი, პირობითი კილო. ინფინიტივი და მიმღეობა.
4. ზმნის ფლექსია ნაწარმოებ თემებში.
5. გუტურალიანი ზმნები.
6. შემჭიდროებული ზმნები (ა, ე, ი, უ). გემინირებული ზმნები.
7. სუსტი ზმნები. ოორმაგად სუსტი ზმნები.
8. ოთხთანხმოვნიანი ზმნები. ოთხთანხმოვნიანი სუსტი ზმნები.
9. დეფექტური ზმნები.
10. ზმნები ნაცვალსახელური სუფიქსებით.

III ზმნიზედა.

IV წინდებულები.

V კავშირები.

VI ნაწილაკები.

VII შორისდებულები.

სინტაქსი

I შესიტყვება. ნომინალური შესიტყვება, ვერბალური შესიტყვება, ადვერბიალური შესიტყვება.

II მარტივი წინადადება.

1. წინადადების ძირითადი სახეები (ნომინალი, უკუთქმითი, ბრძანებითი, ნატვრითი).
2. წინადადების მთავარი წევრები.
3. წინადადების წევრთა თანამიმდევრობა.
4. წინადადების წევრთა სინტაქსური ურთიერთობა.

III რთული წინადადება. თანწყობილი, ქვეწყობილი და პირობითი წინადადებები.

